თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი № 4

ქ. თერჯოლა 2 ივნისი 2026 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე ლაშა ლანჩავა

სხდომას ესწრებოდნენ: 1. ლაშა ლანჩავა, 2. რამაზი ლორთქიფანიძე, 3. დავით გოგბერაშვილი, 4. ნინო მახათაძე, 5. ელისო მურადაშვილი, 6. ეკა ბერძენიშვილი, 7. ჯანო რობაქიძე, 8. თემური ქოჩიაშვილი, 9. ვლადიმერ მაკარიძე, 10. გიორგი ყაზაიშვილი.

კომისიის შემადგენლობა: 12 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა: 10
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614963, 29.05.2026 წ.);

მომხს.: ლ.ლანჩავა

2. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282614963, 29.05.2026 წ.);

მომხს.: ლ.ლანჩავა

3. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი № 28-282615240, 01.06.2026 წ.).

მომხს.: ლ.ლანჩავა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ, კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - ცვლილება შეეხება განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფში შემავალ დიაგნოზებს (f 84-f 84.9;), აგრეთვე პროგრამაში ჩართული/ჩასართავი ბენეფიციარის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტაციას. პროექტით გათვალისწინებულია ADOS/LAP(ASQ-3) და სხვა შესაბამისი ტესტირების შედეგების პროგრამაში ინტეგრირება, რაც უზრუნველყოფს ბენეფიციართა საჭიროებების უფრო ზუსტ, ობიექტურ და ეფექტიან იდენტიფიცირებას, ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებას და შესაბამისი სოციალური მხარდაჭერის მიზნობრივ განხორციელებას. ცვლილების მიზანია პროგრამის ადმინისტრირების სრულყოფა, სერვისის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გაუმჯობესება. ცვლილება არ აუარესებს ბენეფიციართა სამართლებრივ მდგომარეობას, არ გამოიწვევს პროგრამის ბიუჯეტის ზრდას.

აზრი გამოთქვეს: ნინო მახათაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირერბული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - 2026 წლის 18 მარტის № 41 დადგენილებით ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება გამოეყო მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს და შეურთდა ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურს, შესაბამისად განკარგულების მეხუთე მუხლში ჩაიწერება ,,ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვთა ოჯახების მხარდაჭერისა და გაძლიერების 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.292601418 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ლაშა ლანჩავამ კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე განკარგულების პროექტი - 10 000 ლარით იზრდება პროგრამით განსაზღვრული ერთი ინდივიდუალური სახლის მშენებლობა და გახდება 60 000 ლარი (დაბალი ფასის გამო ტენდერი ორჯერ ჩაიშალა), ხოლო პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი გახდება 430 000 ლარი.

აზრი გამოთქვეს: კომისიის ყველა წევრმა.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 10, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: განსახილველად გავიდეს ბიუროზე საკითხი ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული ოჯახების 2026 წლის დახმარების პროგრამის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 14 იანვრის №გ-29.29260149 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარე:

ლაშა ლანჩავა